საქართველო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს

საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა #6

03. იანვარი 2011 წ.

დ. ხარაგაული 9 აპრილის ქ,#15

Aარასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გაზეთ ` ახალი ხარაგაული~ შექმნის შესახებ

A`ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ~საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის `ჩ~ ქვეპუნქტის შესაბამისად

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეიქმნას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა.ი.პ. გაზეთი `ახალი ხარაგაული~ და დამტკიცდეს თანდართული წესდება.

მუხლი 2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა.ი.პ გაზეთ.` ახალი ხარაგაული~ -ს დირექტორად დაინიშნოს ვასილ კავილაძე და განთავისუფლდეს იგი შ.პ.ს. გაზეთ `ახალი ხარაგაული ~-ს დირექტორის მოვალეობისაგან.

მუხლი 3: დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა.ი.პ.`ახალი ხარაგაული ~-ს დირექტორს ვასილ კავილაძეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მოახდინოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა.ი.პ. ` ახალი ხარაგაულ~-ს რეგისტრაცია.

.მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს მხარეთა გაცნობის დღიდან

საკრებულოს თავმჯდომარე აკაკი მაჭავარიანი

დამტკიცებულია:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2011 წ. 3 იანვრის

6 განკარგულებით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ახალი ხარაგაული“

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. იურიდიული სტატუსი და ადგილსამყოფელი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ახალი ხარაგაული“ (შემდგომში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ახალი ხარაგაული“) არის თვითმმართველი ერთეულის მიერ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო, (არაკომერციული) იურიდიული პირი.

2. ორგანიზაციის სრული სახელწოდებაა: არასამეწარმეო, (არაკომერციული) იურიდიული პირი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ახალი ხარაგაული“

(ა.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ახალი ხარაგაული“).

3. ორგანიზაცია წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

4. ა.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ახალი ხარაგაული“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით, სხვა სამართლებლივი აქტებითა და ამ წესდებით.

5. ა.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთ ,,ახალი ხარაგაულს~ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი და შტამპი საკუთარი დასახელებით, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებაში და იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი რეკვიზიტები.

6. ა.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთ ,,ახალი ხარაგაულის~ იურიდიული მისამართია: დაბა ხარაგაული ცხრა აპრილის ქუჩა # 15.

Mმუხლი 2. Aა..ი.პ. `ახალი ხარაგაული~-ს დამფუძნებელი

1.Aა.ი.პ.გაზეთი `ახალი ხარაგაული ~-ს დამფუძნებელია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო. საინდიფიკაციო კოდი 243570989,წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე აკაკი მაჭავარიანი დაბადებული 10.11.1941 წელს, მცხოვრები ხარაგაულის მუნიციპალოტეტის დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა #56-ში. პირადი # 56001002631 პირადობა #დ.0181184.

Mმუხლი 3. მიზნები და ამოცანები

1. ა.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ახალი ხარაგაული“ საწესდებო მიზნების შესაბამისად საქმიანობას წარმართავს შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

ა) მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიერ გაწეულ და მიმდინარე სამუშაოებზე;

ბ) მუნიციპალიტეტში მომხდარი აქტუალური მოვლენების გაშუქება;

გ) მოსახლეობის წინაშე მდგომი პრობლემების გაშუქება;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ- სამართლებრივი და ნორმატიული აქტების განთავსება;

ე) თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაცია.

2. ორგანიზაცია უფლებამოსილია, განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი საქმიანობა.

Mმუხლი 4. წარმომადგენლობა და ხელმძღვანელობა

1. წარმომადგენლობაზე და ხელმძღვანელობაზე უფლემამოსილი პირია ა.ი.პ. გაზეთ ,,ახალი ხარაგაული "-ს დირექტორი ვასილ კავილაძე დაბადებული 11.09.1974 წელს. Mმცხოვრები ქალაქ თბილისში ყიფიანის ქუჩა #30 Pპირადი #01017007396. პ/მოწმობა # დ 1047600.

მუხლი 5. სტრუქტურა და მართვა

1. ა.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთ ,,ახალი ხარაგაულს~ ჰყავს დირექტორი, (რედაქტორი) დირექტორის მოადგილე (რედაქტორის მოადგილე), ჟურნალისტები, კორექტორი, ბუღალტერი, გამავრცელებელი.

2. ა.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთ ,,ახალი ხარაგაულის~ საქმიანობას წარმართავს დირექტორი (რედაქტორი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3. ა.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ახალი ხარაგაულის~ დირექტორი (რედაქტორი):

ა) წარმართავს და ორგანიზაციას უწევს გაზეთის რედაქციის საერთო საქმიანობას და პასუხისმებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ორგანიზაციას ყველა ინსტაციაში, დებს გარიგებებს;

გ) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს ორგანიზაციის საკუთრებაში არსებულ ქონებას, ასევე ეკისრება პასუხისმგებლობა ფულადი სახსრების სწორად ხარჯვაზე;

დ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს;

ე) იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებასა და დისიპლინარულ პასუხისმგებლობის შესახებ, განსაზღვრავს თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურების ოდენობას;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს;

ზ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს დასამტკიცებლად წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტს;

თ) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია, განახორციელოს კანონით მინიჭებული სხვა მოქმედებები.

4. დირექტორის მოადგილე (რედაქტორის მოადგილე):

ა) პასუხისმგებელია თანამშრომელთა შრომით საქმიანობაზე;

ბ) დირექტორის (რედაქტორის) არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

მუხლი 6. ორგანიზაციის საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება:

ა.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ახალი ხარაგაული“ ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიური საქმიანობა.

მუხლი 7. სახელმწიფო კონტროლი

ა.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ახალი ხარაგაულის~ საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დაფინანსების წყაროები

1. ა.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ახალი ხარაგაულის~ დაფინანსების წყაროებია:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას,სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია.

მუხლი 9. ორგანიზაციის ქონება

ა.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ახალი ხარაგაული“ დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადმოცემული, ქონების საფუძველზე, რომელიც გამოიყენება მხოლოდ წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 10. წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

მუხლი 11. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ა.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,ახალი ხარაგაულის˜ რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირის საკუთრებაში, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები.

საკრებულოს თავმჯდომარე აკაკი მაჭავარიანი